

შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ს თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2020 ლარი	31/12/2019 ლარი	31/12/2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	288,891	332,783	387,223
არამატერიალური აქტივები	5	100	122	149
სულ გრძელვადიანი აქტივები		288,991	332,905	387,373
სასაქონლო მარაგები	6	1,777,157	1,373,021	1,406,573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	173,031	161,384	157,550
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	80,361	46,215	151,753
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,030,550	1,580,620	1,715,875
სულ აქტივები		2,319,541	1,913,525	2,103,248
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,037,259	1,783,021	1,664,203
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,037,259	1,783,021	1,664,203
საგადასახადო ვალდებულებები		-	33,350	6,028
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,661,082	2,499,483	2,676,281
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,661,082	2,532,833	2,682,309
სულ ვალდებულებები		5,698,342	4,315,854	4,346,512
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(3,378,800)	(2,402,329)	(2,243,264)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,378,800)	(2,402,329)	(2,243,264)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,319,541	1,913,525	2,103,248

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯიას

დირექტორი: ოთარ ქირია



შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020-31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	11	1,924,820	4,111,881
ამონაგების თვითღირებულება		(1,126,046)	(2,464,863)
საერთო მოგება		798,774	1,647,017
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(887,965)	(1,259,150)
ფინანსური ხარჯი		(214,630)	(196,132)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	13	(672,650)	(350,800)
მოგება დაბეგვრამდე		(976,471)	(159,065)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(976,471)	(159,065)

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯიას
დირექტორი: ოთარ ქირია



შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020-31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	-	(2,243,264)	(2,243,264)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(159,065)	(159,065)
ნაშთი - 31.12.2019	-	(2,402,329)	(2,402,329)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(976,471)	(976,471)
ნაშთი - 31.12.2020	-	(3,378,800)	(3,378,800)

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯიას
დირექტორი: ოთარ ქირია



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 18/06/2009). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა, ბინა N26

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ბავშვის ტანსაცმლით, ავეჯით და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა.

კომპანიის წილის მესაკუთრეები:

სადი ატაკიშიევი, P3317252, C01374968 /აზერბაიჯანი/ - 50%

მამედ შახმამედოვი, P3288390, C00436728 /აზერბაიჯანი/ - 50%

კომპანიის დირექტორი: ოთარ ქირია (პ/ნ 01009005550)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2020	2019
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	4.4529	3.7593

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია,

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შემენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება ნაშთის შემცირების მეთოდით და აისახება მოგება-ზარალში. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალიანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და ფულს სალაროში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

ხელფასი გაიცემა ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	82307	124337	(42,030)	კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	38827	0	38,827	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	750941	922336	(171,395)	რეკლასიფიკაცია/კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	6028	5980	48	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	1886513	1894405	(7,892)	რეკლასიფიკაცია/კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2,243,264)	(2,341,647)	98383	კორექტირება

	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	86,876	128,905	(42,030)	კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	12,130	-	12,130	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	232,383	287,082	(54,699)	რეკლასიფიკაცია/კორექტირება
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37,634	38,407	(773)	კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	33350.13	130906.86	(97,557)	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	2,217,336	2,222,237	(4,901)	რეკლასიფიკაცია/კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2,402,329)	(2,506,100)	103,771	კორექტირება
საკურსო მოგება/ზარალი	(350,130)	(354,551)	4,422	კორექტირება

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	საწყობის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
პერიოდი 01/01/2019	155,914	58,531	3,091	3,336	166,351
შემოსვლა	11,522	-	202	-	-
ცვეთა	(28,802)	(10,697)	(590)	(609)	(23,307)
ჩამოწერა	(2,159)	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2019	136,474	47,834	2,703	2,726	143,045
პერიოდი 01/01/2020	136,474	47,834	2,703	2,726	143,045
შემოსვლა	10,580	-	897	-	-
ცვეთა	(25,577)	(8,743)	(510)	(498)	(20,041)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2020	121,478	39,092	3,090	2,228	123,004

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
პერიოდი 01/01/2019	149
შემოსვლა	-
ცვეთა	(27)
ჩამოწერა	-
პერიოდი 31/12/2019	122
პერიოდი 01/01/2020	122
შემოსვლა	-
ცვეთა	(22)
ჩამოწერა	-
პერიოდი 31/12/2020	100

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2020	2019	2018
გასაყიდი საქონელი	1737134	1321461	1389040
სხვა მარაგები	40024	51560	17533
სულ	1777157	1373021	1406573

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	65512	74509	75242
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	84852	86876	82307
საგადასახადო აქტივი	22667	-	-
სულ	173031	161384	157550

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2020	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	16278	23413	18214
ფული საბანკო ანგარიშებზე	64083	22802	133539
სულ	80361	46215	151753

9. სასესხო ვალდებულებები

	2020	2019	2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,037,259	1,783,021	1,664,203
სულ	2,037,259	1,783,021	1,664,203

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	864059	244513	789769
გადასახდელი ხელფასები	39386	37634	-
სხვა ვალდებულებები	2757638	2217336	1886513
სულ	3661082	2499483	2676281

11. ამონაგები

საქონლის საცალო რეალიზება ხდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე. ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ და 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს.

	2020	2019
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - 18%-იანი ბრუნვა	1891093	4090525
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან - ნულოვანი ბრუნვა	33727	21356
სულ	1924820	4111881

12. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
იჯარა	(229,646)	(460,837)
კომუნალური	(6,808)	(9,514)
სარეკლამო ხარჯები	(6,806)	(7,433)
შრომის ანაზღაურება	(317,088)	(502,536)
საბუღალტრო მომსახურება	(30,668)	(32,559)
კომუნიკაციის ხარჯები	(22,755)	(25,900)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(1,860)	(5,863)
საწვავის და ავტომობილის შენახვის ხარჯი	(5,321)	(8,182)
საოფისე ხარჯი	(2,536)	(8,726)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(55,391)	(64,032)
დაზღვევის ხარჯი	(24,501)	(18,783)
წარმომადგენლობით ხარჯი	-	(240)
საბანკო ხარჯი	(39,343)	(51,512)
საგადასახადო ხარჯი	(3,193)	(4,827)
დამხმარე მარაგების თვითღირებულების ხარჯი	(34,966)	(236)
საპენსიო ხარჯი	(5,297)	(7,742)
მივლინების ხარჯი	-	(2,947)
თანამშრომელზე მიწოდება	(22,992)	(21,717)
ტრენინგის საფასური	-	(1,290)
საბაჟო საწყოები	(2,347)	-
საკურიერო მომსახურება	(3,981)	-
ლოჯისტიკური მომსახურება	(2,381)	-
მარკეტინგის ხარჯი	(44,651)	-
სხვა ხარჯი	(25,432)	(24,274)
სულ	(887965)	(1259150)

13. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020	2019
საჯურსო სხვაობა	(673,186)	(350,130)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	1,489
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარჯი)	536	(2,159)
სულ	(672650)	(350800)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

2020 წელს დაწყებული COVID პანდემიასთან დაკავშირებით 2020 წლის 21 ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე ვირუსის მეორე ტალღასთან მიმართებაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაიკეტა სავაჭრო ობიექტები და დაწესდა რეგულარული შეზღუდვები, რამაც გავლენა იქონია სუბიექტის ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა 2021 წლის თებერვლიდან შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია აქტიურად ახორციელებს საქმიანობას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2021 წლის 20 აგვისტოს.

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯიას

დირექტორი: ოთარ ქირია

